ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №-27

2010 წლის 29 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №-8 დადგენილებაში (სსმ V, №-10, 12.08. 2010 წ. მუხ. 225) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

2. ამოღებულ იქნას:

ა) მე-2 მუხლის ,,ა", ,,გ", ,,დ", ,,ე"პუნქტები:

ბ) მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი.

გ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი.

დ) თავი 5 -ის მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 მუხლები.

ე) 21-ე მუხლი.

3. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 17.

ამ დებულების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საშტატო ნუსხით განყოფილების შემადგენლობაში დგინდება:

ა) განყოფილების უფროსი;

ბ) წამყვანი სპეციალისტი;

გ) მძღოლი;

დ) დამლაგებელი.

4. მე-8 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი 8 .

გამგებლის თანაშემწე, რეფერენტი.

5. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 18.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის ასევე გამგებლის თანაშემწე, რეფერენტი, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება ადმინისტრაციული სამსახურის საშტატო განრიგით.

6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე